



საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health



KA030610342807520

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3931

18 / სექტემბერი / 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის პირველ
მოდგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნias

ქალბატონო თამარ,


სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში-ცენტრი) განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან (შემდგომში-სამინისტრო) მიმდინარე წლის 17 აგვისტოს N 2986 (ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე ზაგაშვილის) წერილით გადმოგზავნილი „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე“ დასკვნის კორექტირებული დოკუმენტაცია.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ცენტრის მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის და “გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის № 420 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მომზადდა შესაბამისი დასკვნა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე”.

“გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის № 420 დადგენილების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თანდართული დანართის სახით წარმოგიდგენთ დასკვნას „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგი ანგარიშზე“ დამგეგმავი ორგანოსათვის წარდგენის მიზნით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე